შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№43 (9.757)

12 – 19 ნოემბერი 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ზემო მაჩხაანის ღვთისმშობლის ეკლესიას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა

გვ.4

დედოფლისწყარო-ზემო ქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

გვ.4

გვ.3

პროექტი-ქალთა ფინანსური გაძლიერებისთვის

როგორ მოვემზადოთ ზამთრის ვირუსების თავიდან ასაცილებლად?

გვ.8

წვევამდელების სამხედრო სავალდებულო გაწვევა კვლავ ამოქმედდა

გვ.2

გვ.5

ახალგაზრდა თაობა ჩვენი ქვეყნის განვითარების სამსახურში

14 ნოემბრის ღამეს მთვარე დედამიწიდან 14-ჯერ უფრო დიდი და 30-ჯერ უფრო ნათელი გამოჩნდება

გვ.2

C M Y K

„სტარტაპ საქართველო“ ბიზნეს პროექტების განაცხადების მიღებას განაგრძობს

საპარტნიორო ფონდი „სტარტაპ საქართველოს“ პროგრამის ინოვაციურ კომპონენტში ბიზნეს პროექტებისა და აპლიკაციების მიღებას განაგრძობს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საპარტნიორო ფონდიდან აცნობეს, განაცხადის ფორმა, შევსების წესი და პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსებულია ინტერნეტ გვერდზე www.startup.gov.ge.

მათივე ინფორმაციით, „სტარტაპ საქართველოს“ ინოვაციური კომპონენტის პირველ კონკურსში 36-მა ბიზნეს პროექტმა გაიმარჯვა.

15 დეკემბრამდე მიღებული განაცხადების განხილვის პროცესი და გამარჯვებულების გამოვლენა წლის ბოლომდე დასრულდება.

დამატებითი ინფორმაციისთვის მუშაობს ცხელი ხაზი: 2 30 59 15

დავით უსუფაშვილი პარლამენტის აპარატის თანამშრომლებს - გემშვიდობებით მომავალ შეხვედრამდე

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი პარლამენტის აპარატის თანამშრომლებს მომავალ შეხვედრამდე დაემშვიდობა.

დავით უსუფაშვილმა პარლამენტის ეზოში შეკრებილ თანამშრომლებს სიტყვით მიმართა და პარლამენტის მუშაობაში გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა.

”გემშვიდობებით მომავალ შეხვედრამდე, ცხოვრება წინ არის. ჩემი დღევანდელი გამოსვლა მხოლოდ ერთი სიტყვით შეიძლებოდა თქმულიყო - მადლობა ყველას”, - განაცხადა უსუფაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარემ აპარატის თანამშრომლებთან ერთობლივი ფოტო გადაიღო.

14 ნოემბრის ღამეს მთვარე დედამიწიდან 14-ჯერ უფრო დიდი და 30-ჯერ უფრო ნათელი გამოჩნდება

მიმდინარე წლის 14 ნოემბრის ღამეს, მთვარე დედამიწას 21-ე საუკუნეში ყველაზე უფრო მეტად მიუახლოვდება.

მსგავსი მოვლენა ბოლოს გასულ საუკუნეში, 1948 წელს დაფიქსირდა. შემდეგში, აღნიშნულ მანძილს დედამიწის თანამგზავრი 2034 წლის ნოემბერში მიაღწევს.

NASA-ს ინფორმაციით, მთვარის ორბიტა ეკლიპტიკიდან დედამიწის ორბიტას 30 00 მილით მიუახლოვდება, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი დედამიწიდან 14-ჯერ უფრო დიდი ზომის და 30-ჯერ უფრო ნათელი გამოჩნდება.

მიმდინარე წელს დედამიწის მოსახლეობა სამი მსგავსი მოვლენის მოწმე გახდება.

მთვარე დედამიწას ბოლოს 16 ოქტომბერს მიუახლოვდა, შემდეგი მოვლენა 14 დეკემბერს დაფიქსირდება, თუმცა 14 ნოემბრის შემთხვევა ყველაზე სანახაობრივი იქნება.

საქართველო გლობალური მეწარმეობის კვირეულს უმასპინძლებს

საქართველოს პრემიერ მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი 14 ნოემბერს „გლობალური მეწარმეობის კვირეულს“ გახსნის. ღონისძიებას ასევე დაესწრებიან საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში იან კელი. კვირეულში მონაწილეობას მიიღებენ ქართული სტარტაპები, სხვა კერძო კომპანიებისა და საჯარო სექტორის წარმომადგენლები.

ორგანიზატორთა განცხადებით, ღონისძიებაზე მიწვეული სტუმრებო მოისმენენ სტარტაპთა წარმატების ისტორიებს და სირთულეებს, გაეცნობიან მათ მიერ გადალახულ პრობლემებსა და ხელშემწყობ ფაქტორებს. რეგლამენტის თანახმად, ღონისძიების მეორე ნაწილი პანელურ დისკუსიას დაეთმობა, რომლის თემა სახალხო დაფინანსება (Crowd Funding) იქნება.

„გლობალური მეწარმეობის კვირეული“ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იმართება. საქართველოში ის წელს 14 ნოემბრიდან ერთი კვირის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, USAID-ის პროექტის „მმართველობა განვითარებისათვის“ (G4G), საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსა (GITA) და მეწარმეთა ასოციაციის ხელშეწყობით გაიმართება.

„ეროვნული ფორუმი“ დატოვა პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, გუბაზ სანიკიძემ

„ეროვნული ფორუმი“ დატოვა პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, გუბაზ სანიკიძემ. მან თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ პარტიიდან წასვლის მიუხედავად, პოლიტიკურ საქმიანობას განაგრძობს და ხელს შეუწყობს დიდი ოპოზიციური მოძრაობის ჩამოყალიბებას. გუბაზ სანიკიძემ აღნიშნა, რომ კონსულტაციებს უკვე აწარმოებს, თუმცა, ვისთან, ჯერჯერობით არ გაამხელს. „ვთვლი, რომ საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციის დიდმა ნაწილმა გარკვეული შეცდომები დაუშვა და ამის გადაფასება უნდა მოხდეს“ - განაცხადა გუბაზ სანიკიძემ. მისივე თქმით, ოპოზიციურ სპექტრს, სადაც საინტერესო პროცესები დაიწყო, სერიოზული დავალებები აქვს. ჟურნალისტების შეკითხვას, შესაძლოა თუ არა გაერთიანდეს დავით უსუფაშვილთან, ან ნინო ბურჯანაძესთან, გუბაზ სანიკიძემ უპასუხა, რომ ჯერჯერობით კონკრეტულს ვერაფერს იტყვის, თუმცა დასძინა, რომ ქართულ პოლიტიკაში არიან გამორჩეული პიროვნებები, განსაკუთრებით ბურჯანაძე და უსუფაშვილი. როგორც სანიკიძემ აღნიშნა, თანამშრომლობას არცერთ შემთხვევაში არ აპირებს „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობასთან“.

მიხეილ სააკაშვილი მზად არის, უკრაინაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში, ახალი პარტია შექმნას

ოდესის ოლქის ექს-გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ უკრაინაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში, მზად არის ახალი პარტია სახელწოდებით „ხვილია “ („ტალღა“) შექმნას.

უკრაინული მედიის ცნობით, ამის შესახებ სააკაშვილმა ჟურნალ „კორესპონდენტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

„ხვილია“-ს შექმნა დამოკიდებულია იმაზე, გაიმართება თუ არა ვადამდელი არჩევნები“, - განაცხადა სააკაშვილმა.

მისივე ცნობით, თავის დროზე უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო მას უკრაინის პრემიერ-მინისტრის პოსტს სთავაზობდა. თუმცა, სააკაშვილმა ამ წინადადებაზე უარი თქვა.

მიხეილ სააკაშვილმა ოდესის ოლქის გუბერნატორის პოსტის დატოვების შესახებ 7 ნოემბერს განაცხადა. მანამდე, თანამდებობიდან წასვლის გადაწყვეტილება ოდესის პოლიციის უფროსმა გია ლორთქიფანიძემ მიიღო.

მიხეილ სააკაშვილის ოდესის საოლქო ადმინისტრაციის თავმჯდომარის პოსტს 2015 წლის 30 მაისიდან იკავებდა.

წვევამდელების სამხედრო სავალდებულო გაწვევა კვლავ ამოქმედდა

თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, თავდაცვის ყოფილი მინისტრის თინა ხიდაშელის მიერ, 27 ივნისს გაუქმებული სამხედრო გაწვევა აღდგა.

აღნიშნულის შესახებ თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ 100 დღის მუშაობის შეჯამისას განაცხადა.

ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა თინათინ ხიდაშელმა სამხედრო გაწვევის შესახებ ბრძანებას ხელი 27 ივნისს მოაწერა.

„ნატო-საქართველოს სწავლება 2016“ დაიწყო

ვაზიანში, IV მექანიზირებულ ბრიგადაში „ნატო-საქართველოს სწავლება 2016“ ოფიციალურად გაიხსნა. თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის ლელა ჩიქოვანის განცხადებით, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში დაარსებული წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი (JTEC) პირველად მასპინძლობს ნატო-საქართველოს ერთობლივ სიმულაციურ სწავლებას.

„ასევე, პირველად ხდება ნატოს ისტორიაში, როდესაც დაგეგმვის პროცესიდან აღსრულებამდე საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი ახორციელებს ქმედებებს. მნიშვნელოვანია ამ სწავლების ჩატარება საქართველოში, რადგან ეს ნატოს მხრიდან მტკიცე მხარდაჭერის დასტურია საქართველოს მისწრაფებებისადმი, რომელსაც განუხრელად ახორციელებს ქვეყანა და ქვეყნის ყველა სახელმწიფო უწყება. „ნატო-საქართველო 2016“ სწავლების ჩატარების შემადგენელ ელემენტს კრიზისულ სიტუაციებზე რეაგირება წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქართველ სამხედროებს ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა ნატოელ მოკავშირეებთან და ყველა ჩართულ ელემენტთან ერთად შეიძინონ და განიმტკიცონ უნარები, რომელიც შემდეგ საშუალებას მისცემს თვითონვე უწყებათაშორის ფორმატში რეაგირება განახორციელონ ნებისმიერი ხასიათის კრიზისზე“, - აღნიშნა ლელა ჩიქოვანმა.

„სამეთაურო-საშტაბო სწავლების მიზანია საქართველოს, ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებული ძალების წარმომადგენლების პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარება, რათა სამხედროებმა საერთაშორისო სწავლებებისა და ოპერაციების დროს ერთობლივად და შეთანხმებულად იმოქმედონ. დარწმუნებულები ვართ, რომ სწავლების დასრულების შემდეგ საქართველოს შეიარაღებული ძალები კიდევ უფრო თავსებადი გახდება ნატოსთან და ჩვენი სამხედროები შეძლებენ ეფექტურად დაგეგმონ და კოორდინაცია გაუწიონ მრავალეროვნულ ქვედანაყოფებს კრიზისების მართვის ოპერაციების დროს“, - განაცხადა შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის პირველმა მოადგილემ, ბრიგადის გენერალმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ.

„წვრთნა უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს ნატოსა და პარტნიორ ქვეყნებს თავიანთი გამოცდილება გაუზიარონ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, რომელსაც უკვე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს რეგიონის და ალიანსის კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ამგვარი თანამშრომლობა და პარტნიორობა კი, უსაფრთხო გარემოს შექმნის საწინდარია, რაც ჩვენს მთავარ მიზანს წარმოადგენს“, - აღნიშნა ნატოს გაერთიანებული ძალების წვრთნის ცენტრის (JFTC) მეთაურის მოადგილემ, ბრიგადის გენერალმა ლადისლავ იუნგმა.

„ნატო-საქართველოს სწავლება 2016“ მხარდამჭერ ცენტრ „კრწანისში“, ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივ ცენტრში (JTEC) 10-20 ნოემბრის ჩათვლით გაიმართება. სწავლებაში ქართველ ოფიცრებთან ერთად ალიანსის 11 წევრი (თურქეთი, ლატვია, ლიტვა, ნიდერლანდების სამეფო, რუმინეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, ბელგია, სლოვენია, გაერთიანებული სამეფო, აშშ) და 2 პარტნიორი ქვეყნის (უკრაინა, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია) 250 სამხედრო მოსამსახურე მიიღებს მონაწილეობას.

პროექტი-ქალთა ფინანსური გაძლიერებისთვის

დედოფლისწყაროს საზღვრისპირა სოფელში არასამთავრობო სექტორისა და ადგილობრივი ბიუჯეტის ერთობლივი დაფინანსებით ეკომიგრანტ ქალთა გაძლიერების პროექტი განხორციელდა, რაც სტრატეგიულად მნიშვნელოვან სოფლებში მცხოვრებ ქალთა ფინანსურ უზრუნველყოფას და ადგილზე დამაგრებას ითვალისწინებს. არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა“ ახორციელებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტს „მიგრაციის მართვის გაუმჯობესება ეკომიგრანტების ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების გაძლიერების გზით“, რომელიც ეკომიგრანტებისთვის სოციალური და ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდას ითვალისწინებს. პროექტი ითვალისწინებს ეკომიგრანტ ქალთა მცირე ბიზნეს საქმიანობის განვითარების მხარდაჭერას, მათთვის საჭირო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას და ადვოკატირებას. პროექტის ფარგლებში, „სიდამ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ სამთაწყაროში 13 ბიზნეს იდეა დააფინანსა. ამავე ორგანიზაციის მიერ 40 პროექტი დაფინანსდა ლაგოდეხის სოფლებშიც.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, ეკომიგრანტმა ოჯახებმა თავად შეარჩიეს მათთვის სასურველი საქმიანობის სფერო, არასამთავრობო ორგანიზაციის მხარდაჭერით პროექტებიც თავად დაწერეს, შესაბამისი ტრენინგებიც გაიარეს და საჭირო უნარ-ჩვევებიც შეიძინეს.

სამთაწყარო აზერბაიჯანის საზღვართან, ალაზნისპირას მდებარეობს. სოფელში აჭარიდან ჩასახლებული ეკომიგრანტები და ჰერეთიდან წამოსული ჰერები ანუ ინგილოები ცხოვრობენ. 2015 წლის მონაცემებით სოფელში 1 600 კაცი ცხოვრობს, სულ კი 425 კომლია. გასულ კვირას „სიდამ“ სამთაწყაროში მედია-ტური გამართა. მედია-ტურის ფარგლებში ჟურნალისტებს შეეძლოთ დაეთვალიერებინათ დაფინანსებული პროექტები და მათი განმახორციელებელი ოჯახები.

სამთაწყაროში „სიდამ“ პროექტი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით შეძლო. დედოფლისწყაროს გამგებელი ამბობს, რომ ამჯერად მუნიციპალიტეტმა სამჯერ მეტი თანხა ჩადო. ეს კი იმის ნიშანია, რომ თუკი არასამთავრობო სექტორი, რაიმე ფორმით, დედოფლისწყაროში თანხის დახარჯვას გადაწყვეტს, ადგილობრივი ხელისუფლება მზადაა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს თანამონაწილეობის საქმეში.

„ჩვენ გაზაფხულზე, როცა „სიდას“ წარმომადგენლებს შევხვდით, მათი მხრიდან იყო იდეა, რომ გარკვეული თანხების დახარჯვა შეეძლოთ, როგორც საზღვრისპირა ეკომიგრანტებით დასახლებულ სოფელში, ამისთვის საჭირო იყო მინიმალური თანადაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან. დაახლოებით სამჯერ მეტი ინვესტიცია განვახორციელეთ ჩვენ, რაც მთავარია წყალმომარაგების პროექტი განხორციელდა, „სიდამ“ დახარჯა 17 ათას ლარამდე და ჩვენი მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობა 55 ათასი ლარი იყო, ამან ჩვენ საშუალება მოგვცა 280 ოჯახამდე უზრუნველგვეყო სასმელი წყლით. გარდა ამისა, სოფელში მცხოვრები ქალების წახალისება და მათი თანამედროვე საზოგადოებაში“, უფრო მეტი ინტეგრირება მოხდა, - განაცხადა დედოფლისწყაროს გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

სამთაწყაროში ერთ-ერთ ოჯახს გადაეცა 4 მოტობლოკი, რომლითაც ჯერ საკუთარ მიწას დაამუშავებენ და შემდეგ სხვა თანასოფლელებსაც დაეხმარებიან. აქამდე მათ მიწაზე ფიზიკური ძალით უწევდათ მუშაობა, ახლა კი მოტობლოკები მათ დაეხმარება სამუშაოს შემსუბუქებაში.

როგორც მოტობლოკის მეპატრონე აცხადებს, ახლა უკვე დაიწყება მოხვნა და დავრგავთ ხახვს და კარტოფილს, თებერვლიდან იწყება დათესვა, დედოფლისწყაროში გაგვაქვს რეალიზებისთვის. უწყლობის გამო ხელი გვეშლება, მაგრამ ახლა უკვე შეიცვალა მილები და იმედია, უკეთესი მდგომარეობა იქნება“ - გვითხრა მოტობლოკის მეპატრონემ.

შემდეგი ბიზნესგეგმა, რომელიც დაფინანსდა ამავე სოფელში, ეს მამაკაცთა სალონია. როგორც ბიზნესგეგმის ავტორი ნინო მიქელაძე აცხადებს, მას იდეა ქმრის საქმიანობიდან გამომდინარე მოუვიდა, მეუღლე პროფესიით დალაქია და აქამდეც ემსახურებოდა სოფელს, თუმცა ახლა უკვე ახალი ხელსაწყოები და სალონი აქვს, რაც ხარისხს აუმჯობესებს. მიქელაძის განცხადებით, არსებობს იდეა, რომ სალონი მომავალში გაფართოვდეს და მსგავსი ტიპის მომსახურება ქალებისთვისაც ხელმისაწვდომი გახდეს.

ვიფიქრე, „სოფელში სალონი რომ არ არის, კარგი იქნებოდა, მართლაც მუშაობს, ყავს ხალხი, სოფლიდან რაიონი ძალიან შორს არის, რომ წახვიდე და თმა შეიჭრა, ამიტომ, ხალხისთვის უფრო მოსახერხებელია. ამჟამად მხოლოდ მამაკაცებისთვისაა, ამიტომ სამომავლოდ საჭიროა ქალებისთვისაც დავამატოთ“, - განაცხადა ნინო მიქელაძემ.

სამთაწყაროში ნათია მიქელაძეს დაუფინანსდა სამკერვალოს მოწყობა, სადაც ახლა ის თეთრეულს კერავს. მას ჭრა-კერვის კურსები აქვს დამთავრებული, მუშაობდა ოჯახში მცირე შეკვეთებზე, მას შემდეგ, რაც არასამთავრობოს შემოთავაზებას გაეცნო, გადაწყვიტა, ბიზნესგეგმა დაეწერა და როგორც ის აცხადებს, რეალიზების პრობლემაც არ ექნება.

„გავეცანი შემოთავაზებას და რადგან ჩემი პროფესია შეესაბამებოდა, განაცხადი გავაკეთე. იმედი არ მქონდა, მაგრამ საბედნიეროდ, გამიმართლა და დამაფინანსეს. რეალიზაციაში ქმარი დამეხმარება. ძირითადი აქცენტია თეთრეულზე, ასევე სხვა შეკვეთებზეც ვიმუშავებთ. ჩემი შეკერილი თეთრეულის ნაწილს ლილოს ბაზრობაზე ჩაიბარებს ერთი ქალბატონი, სადაც ნედლეული ვიყიდე. სოფელშიც საკმარისი მოთხოვნაა, ვფიქრობ არ გაგვიჭირდება,“ - განაცხადა ნათია მიქელაძემ.

გულო ნადირაშვილი (გამგებლის წარმომადგენელი სოფელ სამთაწყაროში): „ძალიან სასიხარულოა, რომ „სიდა“ ჩვენს სოფელში შემოვიდა და შემოგვთავაზა, ქალთა გაძლიერებისთვის ბიზნეს-პროექტებზე მუშაობა. ბევრი ადგილობრივი ვერ გაერკვა, პროექტი როგორ შეედგინა, ან რა მიმართულებით დაეგეგმა თავისი საქმიანობა, ამიტომ ჩვენი სოფლიდან ბევრი განაცხადი არ შესულა. ცამეტი პროექტი წარვადგინეთ და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ცამეტივემ გაიმარჯვა და დაფინანსება ყველა მათგანმა მიიღო. ოთხ ოჯახს მოტობლოკი გადაეცა, ოთხს – წყლის ტუმბოები და რეზერვუარები თავისი მილებით. ორ ოჯახს გადაეცა საკონდიტრო ნაწარმის აღჭურვილობა, ხოლო ერთს – სილამაზის სალონის იარაღები. დიდებული საქმე გაკეთდა. უნდა ითქვას, რომ ჩვენს სოფელს რაც სჭირდებოდა, ამიერიდან ყველაფერი ადგილზე ექნება. ჩვენთან განსაკუთრებული კლიმატის გამო მოსავალი ადრე ითესება და ამ ხელსაწყოების მეშვეობით შეძლებენ მეტი ფართობი დამუშავდეს და წელინადში ორჯერ მოასწრონ მოსავლის მოკრეფა. ამ დრომდე სამთაწყაროში მცხოვრებ ქალებს მიწის დამუშავება ხელით უწევდათ და ძალიან მძიმე სამუშაოებს ასრულებდნენ.“

„ჩვენი ორგანიზაცია ამგვარ პროექტებს რვა წელია ახორციელებს. ევროკავშირის მიერ გამოცხადდა საგრანტო კონკურსი და საგანგებოდ ვარჩევთ ისეთ სოფლებს, რომლებიც სასაზღვრო ზოლში მდებარეობს და ჩვენი მიზანია, ადგილზე მოსახლეობისთვის ფინანსური გარანტიების შექმნა და ამ ოჯახებისთვის ძირითადი შემოსავლის გაჩენა. პროექტში მონაწილე თანამშრომლებისგან შეიქმნა კომისია, რომელიც ამ ბიზნესგეგმებს აფასებდნენ, ვინც 70 ქულაზე მეტი მიიღო, დაფინანსდა. დაფინანსებული სფეროები, ძირითადად, შეირჩა რეგიონის პრიორიტეტებიდან გამომდინარე და იმ უნარ-ჩვევებზე დაყრდნობით, რაც მათ რეალურად გააჩნიათ“, - განაცხადა პროექტის მენეჯერმა **შორენა კოჭლამაზაშვილმა.**

სამთაწყაროში ასევე შემოიღობა წყლის რეზერვუარები და სასმელი წყლის ქსელი მოწესრიგდა. დაახლოებით 11 უბანი და 140-მდე ოჯახი ისარგებლებს ამ წყალმომარაგების სისტემით. „სიდამ“ ეს პროექტი 12 300 ლარით დააფინანსა, ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა კი მსგავსი წყალმომარაგების რეზერვუარები სხვა უბნებშიც დაამონტაჟა, რაზეც 53-55 ათას ლარამდე დაიხარჯა.

იმის მიუხედავად, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდამ“ ძალიან ბევრი ბიზნეს იდეა დააფინანსა, სოფელში პრობლემა მაინც რჩება, მაგალითად გზის გაუმართაობა, სტიქიური ნაგავსაყრელი, სპორტული კომპლექსის არარსებობა, ბუნებრივი გაზის არქონა, ინტერნეტის ხელმიუწვდომლობა და ასე შემდეგ, თუმცა მოსახლეობის განცხადებით, მათი მთავარი პრობლემა – სასმელი წყალი უკვე მოგვარებულია. გამგებელი ოპტიმისტურ პროგნოზს აკეთებს და ამბობს, რომ დანარჩენი პრობლემების მოგვარების თვალსაზრისითაც აქტიურად მუშაობენ.

ილია მარტყოფლიშვილი

დედოფლისწყარო-ზემო ქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

4 ნოემბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა დედოფლისწყარო-ზემო ქედის დამაკავშირებელ გზაზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები მოინახულა.

გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს დედოფლისწყარო- ზემო ქედის დამაკავშირებელი 6 კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია-მოასფალტება, რომელსაც შპს „სერპარტინი“ ახორციელებს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, მომავალი წლის ბოლომდე დედოფლისწყარო-ქვემო ქედის დამაკავშირებელი გზა მთლიანად რეაბილიტირდება: „მოგეხსენებათ, აღნიშნული გზა ქედების ზონასთან დამაკავშირებელი გზაა, რომელიც საქართველოს ბეღელად წოდებულ შირაქსაც უკავშირდება. ჩვენ აქტიურად დავიწყეთ გზების მშენებლობა. წინა წლებში დედოფლისწყარო-ქედების მიმართულებით 24 კილომეტრიანი გზა გაკეთდა, წელსაც ეს პროცესი აქტიურად მიმდინარეობს და მომავალი წლის დასასრულს ქვემო ქედამდე სრულიად ახალი გზა იქნება. ჩვენ პირობას ვდებთ, რომ მუნიციპალიტეტის სოფლებთან დამაკავშირებელი გზების პრობლემა აღარ იქნება“ - განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

ზემო მაჩხაანის ღვთისმშობლის ეკლესიას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანში არსებულ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიას, რომელიც XI — XII საუკუნეებშია აგებული, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი ოფიციალურად მიენიჭა. შესაბამისი ბრძანება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორმა ნიკოლოზ ანთიძემ 2016 წლის 28 ოქტომბერს გამოსცა.

შედეგად, აღნიშნული ობიექტი აისახება ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში, მის შესახებ მონაცემები კი განთავსდება კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების საფუძველია მისი ისტორიული ან კულტურული ღირებულება, დაკავშირებული მის სიძველესთან, უნიკალურობასთან ან ავთენტურობასთან.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ძეგლთა დაცვის მთავარი სპეციალისტი სერგო ქართველიშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას, ეკლესიისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების ფაქტს დადებითად აფასებს და ამბობს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ეს ძეგლზე გაცილებით მეტ მზრუნველობას ნიშნავს. პატრიარქის გადაწყვეტილებით, ქართველიშვილი იმავდროულად ხორნაბუჯის და ჰერეთის ეპარქიის არქიტექტორიცაა.

„როცა სახელმწიფო დამატებით დაცვის ქვეშ აიყვანს ეკლესიას და მითუმეტეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს მიანიჭებს, ეს მნიშვნელოვანი ფაქტია და სასიხარულია, რომ მაჩხაანში მდებარე ეკლესია აღიარეს. ამ სტატუსის შემდეგ სახელმწიფოს ვალდებულებები იზრდება, უკეთესი მოვლა-პატრონობა განახორციელოს ამ ტაძრის მიმართ. თავისთავად, სასიამოვნოა ისიც, რომ დედოფლისწყაროში ასეთი ძეგლების რიცხვი იზრდება. ამ დრომდე დედოფლისწყაროში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად რამდენიმე ობიექტი იყო აღიარებული, ესენია: „ოზაანის ამაღლება“, „ხორნაბუჯის ციხე“, და სამების ტაძარი.

ჩემი აზრით, ზემო მაჩხაანის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიამ ეს სტატუსი თავისი ასაკის და იმ ფრესკების გამო მიიღო, რომელიც შემორჩენილია. საკმაოდ ძველი ნამუშევარი ფრესკებია, ასაკს კი ამ სტატუსის მინიჭების დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა და კომისია თარიღებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ვფიქრობ, რომ ეს ეკლესია თავისი უნიკალურობით გამორჩეული იყო და ნამდვილად იმსახურებს ამ სტატუსს. თუმცა, რაც შეეხება ამ ეკლესიის ამჟამინდელ მდგომარეობას, ძველი ბზარებია გაჩენილი, ის აუცილებლად საჭიროებს დროულ გამაგრებას. გასულ წლებში თვითნებურად არის შელესილი გარკვეული ადგილები. ალბათ ვიღაცას ამით კეთილი ნების გამოხატვა უნდოდა, მაგრამ სინამდვილეში საწინააღმდეგოდ გამოვიდა. არ შეიძლება ასეთ ძეგლებში ჩარევა, თუნდაც გამაგრების გამო,“ - აღნიშნავს სერგო ქართველიშვილი.

ილია მარტყოფლიშვილი

ყველაზე დიდი ბაზილიკა კავკასიაში ყვარელში, დურუჯის სანაპიროზე აღმოაჩინეს

საქართველოში, კახეთის რეგიონში, ყვარელის მუნიციპალიტეტში, მდინარე დურუჯის მარჯვენა სანაპიროზე ბაზილიკური ტაძრის ნანგრევები აღმოაჩინეს. არქეოლოგები დოლოჭოპის V საუკუნის სატაძრო კომპლექსის არსებობაზე საუბრობენ, სადაც 13 საუკუნის წინანდელი დაბეჭდილ თავიანი ქვევრი აღმოჩინეს, რომელშიც, სავარაუდოდ, ნაკურთხი წყალი იყო შენახული.

როგორც ნეკრესი-ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელი ნოდარ ბახტაძე ამბობს, გათხრები 2012 წელს დაიწყო.

„ეს კავკასიაში ყველაზე დიდი ბაზილიკაა. ასე კარგად შემორჩენილი ნანგრევი არსად არ არის. მისი აგება IV - V საუკუნით თარიღდება. ეს იყო ბორცვში მოქცეული მთა ტყით დაფარული, ნანგრევები ზემოდან ჩანდა. როცა გავთხარეთ გრანდიოზული ნაგებობა აღმოჩნდა“, - განაცხადა ბახტაძემ.

არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელი განმარტავს, რომ ქართველებთან ერთად კანადელი ანთროპოლოგები და ინგლისელი მეცნიერები მუშაობენ, გათხრებს კი კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო აფინანსებს.

„მე-4 საუკუნის ტაძარი დანგრეულია მინისძვრის დროს, შემდეგ მე-5 საუკუნეში, ვახტანგ გორგასალის მეფობის დროს, უფრო გრანდიოზული აიგო.

რაც შეეხება ქვევრს, გათხრების დროს ქვედა ტაძარიც გამოჩნდა, ორპირიანი ძეგლია და საერთოდ, მე-8 საუკუნეში წყვეტს ყველაფერი არსებობას, რადგან მურვან ყრუმ ყველაფერი დაანგრია...

დანგრევის წინ ქვევრი რომელიც შუა ეკლესიაში იდგა, წყლით ყოფილა სავსე და ასე ჩაიმარხა. ქვევრს სახურავიც ჰქონდა, რომელმაც ჰერმეტულად დაიცვა“, - აღნიშნა ნოდარ ბახტაძემ.

რით დასტურდება, რომ ქვევრში შენახული წყალი ნაკურთხია?

ჩვენ თავისუფლად ვამბობთ, რომ ეს მე-8 საუკუნის წყალია. სრული სამეცნიერო პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ 13 საუკუნის წინანდელი წყალია. ის რომ წყალი საუკუნეებია იდეალურად არის დაცული, ეს შევამოწმებინეთ თბილისის ლაბორატორიებში - წყაროს წყალი ქვევრში იდეალურადაა შენახული, მაგრამ წყალი ნაკურთხია თუ არა ამის გამზომი არ არსებობს.

ჩვენი და საპატრიარქოს დასკვნაა, რომ წყალი ნაკურთხია, სხვა შემთხვევაში ქვევრში წყალი ვერ შეინახებოდა ამდენი ხანი.

არსებობს მსოფლიოში ფაქტი, ნაკურთხი წყალი 13 საუკუნე შენახულიყო?

მე არ გამიგია. ჩვენი ინფორმაცია აიტაცეს მართლმადიდებლურმა გამოცემებმა, რუსეთში, საბერძნეთში, უცხოური მედიაც დაინტერესდა, მაგრამ არსად დაწერილა, რომ მსგავსი, 13 საუკუნის წყალი, ქვევრში შენახული აღმოაჩინეს. თუმცა, არფერი შემეშალოს, ეს რომ სამეცნიერო ფაქტი იყოს...

რამდენად მნიშვნელოვანია ამ ტაძრის აღმოჩენა ჩვენი ქვეყნისთვის?

ჩვენს ხელოვნებათმცოდნეობაში დამკვიდრებული იყო თეორია, რომ პირველი ქართული ეკლესიები იყო პატარა და ნელა-ნელა ვითარდებოდა. აი ამ დროს, აგერ მე-4 საუკუნის ტაძარი ვნახეთ დანგრეული, მერე იმაზე დიდი... ამბობდნენ თითქოს ბოლნისის სიონამდე არ იყო... ეს საბჭოთა პერიოდის თეორია იყო, ყველაფერი ადგილზე განვითარებულიყო. სინამდვილეში ასე არ აღმოჩნდა.

წყაროებში ასეა: მოიწვია მეფე მირიანმა ხუროთმოძღვრები ბიზანტიიდან, მოწინავე ქვეყნებიდან და აგებდნენ ტაძრებს. აქ მათ ველური ხალხი კი არ დახვდა, მშენებლობა იცოდნენ და იმ სქემაზე რომელიც რამდენიმეჯერ ააგეს, კადრები გაიზარდა.

ეს ბრწყინვალე ტაძარია ისეთი, როგორიც კონსტანტინოპოლში, რომში... ტაძრის სიგრძე 44 მეტრია. ნამდვილი ჩამოყალიბებული ბაზილიკაა, ფაქტიურად ჩვენი აღმოჩენით გადატრიალება მოხდა ქართული ბაზილიკის ისტორიაში, რაც ძალიან მნიშნელოვანია.

რა თქმა უნდა წყლის აღმოჩენა მნიშვნელოვანია, მაგრამ იქ მე-5 საუკუნის ნივთებიც აღმოჩნდა.

ცნობისთვის, არქეოლოგიური კვლევა ეროვნული მუზეუმის მიერ წარდგენილი პროექტის მიხედვით გრძელდება, საბოლოო დასკვნა 2 წელში იქნება ცნობილი.

ახალგაზრდა თაობა ჩვენი ქვეყნის განვითარების სამსახურში

დღეს ჩვენი ქვეყანა სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას, ისეთი გამოწვევების, რომ თვით ცხოვრებისეული გამოცდილების ადამიანებსაც უჭირთ გამართულად ფეხი აუწყონ თანამედროვე სტანდარტებს, ისე რომ შეცდომები ნაკლებად დაუშვან. ამ ფონზე ორმაგად საპასუხისმგებლო გახდა საქართველოში ახალგაზრდების როლი, როგორც ქვეყნის მშენებლობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფუნდამენტის. ის თუ როგორი შესაძლებლობების თაობები გვყავს დღეს, მომავალში განსაზღვრავს მთლიანი ქვეყნის განვითარების ბედს. აქედან გამომდინარე, საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობაა, იყო ახალგაზრდა და იარო სწორი გზით. მძიმე ხვედრი შეხვდათ მათ, რომელთაც აქვთ ამბიცია გარდამავალი ეტაპის საქართველოში ფეხი აუწყონ ცხოვრებას ისე, რომ საკუთარი პროფესიის გამართლება და რეალიზება მოახდინონ. ეს მხოლოდ საკუთარ თავში მობილიზებულნი ერევიან ცხოვრების ამ რთულ გამოცდას, როგორიცაა დღეს ახალგაზრდების აზროვნება, პროფესიისადმი პასუხისმგებლობა, რამდენად მაღალზნეობრივები და კეთილგონიერები იქნებიან ისინი, ისეთივე იქნება ჩვენი ქვეყნის მომავალი. ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენს ქვეყანაში იზრდებიან ახალგაზრდები, რომელთა აზროვნება, აღზრდილობა, კულტურა და განათლება ნამდვილად იძლევა იმის საყრდენს, რომ ჩვენს ქვეყანას ნათელი მომავალი ჰქონდეს. დღეს მინდა ერთ-ერთ ასეთ ახალგაზრდაზე, მარიამ ჯანაშვილზე გესაუბროთ, რომელიც ჩვენმა რაიონმა გამოზარდა, აქ დაფრთიანდა და დედაქალაქში სამედიცინო სფეროში იმკვიდრებს თავს.

მარიამ ჯანაშვილი -დედოფლისწყაროში, გიორგი ჯანაშვილისა და მარინა ინასარიძის ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. დედა N1 საჯარო სკოლის გამოცდილი და ბავშვების საყვარელი პედაგოგია, მამა პროფესიით ინჟინერია. მარიამმა დაამთარა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და ამჟამად კერძო სამედიცინო კომპანიაში მოღვაწეობს.

-მარიამ, მოგვიყევი შენს შესახებ, სად დაამთავრე სკოლა, სად განაგრძე სწავლა და როგორ მოახდინე საკუთარი პროფესიის რეალიზება ამ ეტაპზე?

-დავამთავრე დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლა. 2010 წელს ჩავაბარე თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში. 2016 წელს დავამთავრე. ამჟამად ვემზადები რეზიდენტურის გამოცდისთვის. კომპანია „ევექსში'' ექიმის ასისტენტად ვმუშაობ. თავდაპირველად CV გავაგზავნე, შემდეგ ტესტირება გავიარე, ბოლოს გასაუბრება და ასე დავიწყე.

- როგორ მოხდა შენს მიერ პროფესიის არჩევა და როდის გაჩნდა ეს იდეა, რომ ექიმი გამოსულიყავი?

-დღეს მე რომ ექიმი ვარ და ვმოღვაწეობ სამედიცინო სფეროში, ეს ჩემი გოგი პაპას დამსახურებაა. პირველად, მახსოვს 5 წლის ვიყავი, როდესაც პაპამ საახალწლოდ სათამაშო სამედიცინო ნივთების კომპლექტი მაჩუქა და მითხრა, რომ დიდი სურვილი ჰქონდა, ექიმი გამოვსულიყავი. იმდენად დიდი სიყვარული მქონდა მისი, რომ მას შემდეგ სხვა პროფესიაზე არც მიფიქრია. ჩემი ბავშვობა გადიოდა ღია ფერის გრძელ ხალათში, სათამაშო ნემსებთან და ბევრ ფურცლებთან ერთად. ბედნიერი ვარ პირველ რიგში იმით, რომ საყვარელი ადამიანის სურვილი ავასრულე და დარწმუნებული ვარ, ცოცხალი რომ ყოფილიყო, ამით ამაყი და ბედნიერი იქნებოდა.

-რამდენად რთულია დღეს იყო საქართველოს ახალგაზრდა მოქალაქე და მოახდინო შენი პროფესიის რეალიზება?

-ძალიან რთულია და ამაში ბევრი ახალგაზრდა, როგორც სამედიცინო, ისე სხვა სფეროდანაც დამეთანხმება. სამწუხაროდ, ნელ-ნელა კლებულობს დამსაქმებელთა ბაზები, კონკურსი იზრდება, რის გამოც ბევრი ახალგაზრდა იძულებულია, შეიცვალოს პროფესია ან იმუშაოს თავისი პროფესიიდან რადიკალურად განსხვავებულ სამსახურში, ან სულაც დატოვოს საქართველო და საზღვარგარეთ წავიდნენ.

-რა პასუხისმგებლობაა შენთვის ექიმობა და ხომ არ უშლის იგი ხელს იმ გარემოებას, რომ როგორც ახალგაზრდამ, მოიკლო ძალიან ბევრი რამ, თუნდაც მეგობრებთან ერთად სიარული, გართობა?

-ყველა პროფესია მოითხოვს ჩვენი მხრიდან დიდ პასუხისმგებლობას. მათ შორის, რა თქმა უნდა, ექიმობაც. ჩვენი უპასუხისმგებლო, დაუფიქრებელი ქმედება ზიანს აყენებს ადამიანის სიცოცხლეს. რა თქმა უნდა, პროფესიონალ ექიმად რომ ჩამოყალიბდე, ეს გარკვეულ მსხვერპლს მოითხოვს. შესაბამისად, მეც მიწევს გართობის მოკლება და ყოველდღე მუშაობა.

-მარიამ, ზაფხულის პერიოდში შენ იყავი ევროპის ერთ-ერთ ძალიან განვითარებულ ქვეყანაში, გერმანიაში – რას უკავშირდებოდა შენი გერმანიაში ვიზიტი და რა შთაბეჭდილებებით დაბრუნდი ამ ქვეყნიდან, შენი აზრით, რა დრო სჭირდება და რა რელსებზე გადასვლა საქართველოს, რომ ვთქვათ გერმანიას, როგორც ჩამოყალიბებულ ევროპის ქვეყანას, დაეწიოს და გაუთანაბრდეს?

-დიახ, ვიმყოფებოდი გერმანიაში და ჰოლანდიაში, ეს იყო ტურისტული ვიზიტი. ჩვენ, პირველ რიგში, ინდივიდში უნდა მოვახდინოთ ცვლილება. პირველ რიგში, რაც ყველაზე მეტად მომხვდა თვალში გერმანიაში, ეს არის ის, რომ მათ იციან არსებულის მოვლა და დაფასება, ჩვენ კი, ელემენტარულად, ქუჩაში ნაგვის დაგდების მავნე ჩვევა ვერ მოვიშორეთ. თუმცა, იმედია, ყველაფერი შეიცვლება.

-ძალიან ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ თბილისი აღარ არის ის თბილისი, როგორია დღევანდელი ჩვენი დედაქალაქი?

-ჩვენი დედაქალაქი, რა თქმა უნდა, ლამაზდება და მშვენდება ყოველწლიურად, მაგრამ ერთი, რაც არ მომწონს, მცირდება გამწვანება,შედეგად კლებულობს ჟანგბადი, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ჩვენს ჯანმრთელობაზე.

-როგორც ახალგაზრდას და ქვეყნის მომავალ თაობას, მინდა გკითხო, ხშირად საუბრობენ, რომ ამ ქვეყანაში მიღებული სწავლა-განათლება აღარაა საკმარისი იმისთვის, რომ რაიმე დიდს მიაღწიო, თუ კარგ სამსახურზე გაქვს პრეტენზია, შენ უნდა დადო ევროპის რომელიმე ქვეყნის რომელიმე ცნობილი უნივერსიტეტის დიპლომი, რათა გახდე წარმატებული შენს ქვეყანაში? შენ როგორ გესმის ეს ყველაფერი, მართლა ასეა?

- წამყვან, ძლიერ კლინიკებს სჭირდებათ მაღალი კვალიფიკაციის და ძლიერი პრაქტიკის მქონე ექიმი, რომლის მიღებაც ევროპის წამყვან სამედიცინო სასწავლებლებში ხდება, თუმცა, ბევრს არ აქვს ამის საშუალება, ვიცნობ ბევრ ქართველ თანატოლს, რომელიც ბევრს შრომობს და არსებული რესურსებიდან ცდილობს მაქსიმუმის მიღებას, იმისთვის რომ დაიმკვიდროს ადგილი ამ ქვეყანაში. ჩემი აზრით კი, წარმატების მთავარი დევიზი მაინც მონდომება და მიზანდასახულობაა.

-შენს მიერ პიროვნების განსაზღვრის საზომი სად გადის, რა კრიტერიუმებით აფასებ ადამიანებს?

-ერთგულება,-ეს არის მთავარი კრიტერიუმი.

- შენი აზრით, რატომ ხდება, რომ ევროპელობა თბილისში ცუდად გაიგეს და დღეს თბილისში ლამაზ წყვილებს(გოგოსა და ბიჭს ვგულისხმობ) ველარ დაინახავ ქუჩაში? რატომ ხდება, რომ აირია ყველაფერი ერთმანეთში და ზედმეტად თამამები, თითქმის სითავხედეში გადაზრდილი ახალგაზრდები ცხოვრობენ, ისინი პოულობენ სიყვარულს, კარგად აღზრდილ მეწყვილეს და ამ დროს კარგად აღზრდილი, წესიერი ადამიანები საზოგადოებისგან გარიყულებივით რჩებიან?

-ალბათ იმიტომ, რომ ჩვენ აღვიქვით ევროპელობა და თავისუფლება სხვაგვარად, მაგალითად გერმანიაში რომ ჩავედი, მეგონა ძალიან თამამი ქცევების და ჩაცმულობის საზოგადოება დამხვდებოდა, მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად იყო. რასაც აქ ქართველები ე.წ. „ძერსკობას“ ვუწოდებთ, იქ ვულგარულობად ითვლება. საბოლოოდ კი ადამიანის გაგების და შეგნების ამბავია, ჩემს ირგვლივ ბევრი მეგობარი და ადამიანია, რომლებსაც არ დაუკარგავთ კულტურა და არც მიუღიათ მსგავსი „ევროპელობა“, მაგრამ არიან დღეს დიდი საზოგადოების სრულფასოვანი წევრები და მე ვამაყობ ამით.

- იმისათვის, რომ ადამიანმა მიაღწიოს დასახულ მიზანს, რა პრინციპებს არ უნდა უღალატოს?

- ჩემი აზრით, მიზნის მისაღწევად მთავარი მონდომება და ნებისყოფაა.

- მარიამ, შენ საკმაოდ ლამაზი გოგო ხარ, ამასთან, გაქვს კარგი პროეფესია და ხარ წარმატებული, გყვარებია როდისმე?

- არა, ჯერჯერობით არავინ და არც მაქვს დრო, არც ვფიქრობ საერთოდ ამ ეტაპზე ამაზე, მთლიანად სამსახურზე და პროფესიულ წინსვლაზე ვარ ორიენტირებული.

- როგორ ადამიანს აქვს შანსი, გახდეს შენი მეგობარი?

-ჩემი მეგობარი შეიძლება გახდეს ერთგული, შრომისმოყვარე, მიზანდასახული პიროვნება. სწორედ ასეთი ადამიანები არიან დღეს ჩემი მეგობრები.

-რას ელოდებით მომავლისგან და როგორია თქვენი გეგმები?

-მომავალზე საუბარი ძნელია, ვიმედოვნებ, რომ ყოველდღიური შრომა და მონდომება აუცილებლად დაფასდება.

ლალი მეხრიშვილი

მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი ქუთაისის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან ითანამშრომლებს

მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგში 48-ე ადგილზე მყოფი მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი ქუთაისის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან ითანამშრომლებს. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, ამის შესახებ მთავრობის ადმინისტრაციაში დღეს გამართულ შეხვედრაზე აღინიშნა.

შეხვედრას საქართველოში ვიზიტით მყოფი მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის საგარეო მიმართულების ხელმძღვანელი დანიელ გოტშალდი, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი მაია ცქიტიშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა, სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე, საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ ხელმძღვანელი ნიკოლოზ ჩხეტიანი, თანაინვესტირების ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ქარსელაძე დაესწრნენ.

შეხვედრაზე განიხილეს შესაძლო თანამშრომლობის საკითხები, მათ შორის, პროფესორ-მასწავლებელთა და აკადემიური პროგრამების შერჩევისა და პროექტის განვითარებისთვის საჭირო სხვა თემები. ხაზი გაესვა ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სასწავლო მიმართულებების სწორად განსაზღვრის აუცილებლობას, რაც მომავალში ქვეყნის განვითარებას შეუწყობს ხელს. ყურადღება გამახვილდა მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის გამოცდილების მნიშვნელობაზე, რომელიც საინჟინრო-ტექნიკურ მიმართულებების მხრივ მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგში 27-ე ადგილზეა.

„ჩვენ გვაქვს დიდი ამბიციები საქართველოსთან დაკავშირებით. საქართველო არის ძალიან პერსპექტიული ქვეყანა არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის განვითარების, არამედ კვალიფიკაციის ამაღლების კუთხითაც. ჩვენი დღევანდელი დისკუსიის მიზანიც სწორედ იმ გზების გამონახვას მიეძღვნა, რომლებითაც ჩვენ - გერმანელი და ბავარიელი პარტნიორები ჩავერთვებით ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქის ფართომასშტაბიან პროექტში. ჩვენ გვაქვს ძალიან კონკრეტული გეგმები საერთაშორისო კამპუსის მართვის ცენტრისთვის აუცილებელი კვალიფიკაციის უზრუნველსაყოფად, რამაც საქართველოში ახალი ღირებულებების შექმნას უნდა შეუწყოს ხელი. ჩვენ მხოლოდ ვიწყებთ ამ მიმართულებით მუშაობას, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მეორე ნაბიჯს უახლოეს მომავალში გადავდგამთ“, - განაცხადა დანიელ გოტშალდმა შეხვედრის დასრულების შემდეგ.

მოსწავლეები ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობას გაეცნენ

10 ნოემბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი სოფელ ზემო ქედის N1 საჯარო სკოლისა და სოფელ სამთაწყაროს საჯარო სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეხვდა და მათ გამგეობის მუშაობის სპეციფიკასა და სტრუქტურაზე ესაუბრა.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.გამგებელმა ბავშვებისგან ის საკითხები მოისმინა,რაც მათ აწუხებთ და პირობა მისცა, რომ მათ ყველანაირ სასარგებლო წამოწყებას მხარს დაუჭერს.

,,მე ძალიან ამაყი ვარ, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს ჰყავს ასეთი აქტიური, ჭკვიანი და შრომისმოყვარე ბავშვები, რომლებიც ყოველთვის ინტერესდებიან სოფელში ჩატარებული ინფრასტრუქტურული სამუშაოებითა თუ სსვა მიმდინარე პროექტებით. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა მზადაა ნებისმიერი სახის ურთიერთთანამშრომლობაზე ამ ჭკვიან ბავშვებთან"- განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

„ჩვენი დღევანდელი შეხვედრის მიზანი იყო გაგვეგო, თუ რა ხდებოდა გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში.მე დავრწმუნდი, რომ გამგეობა კარგად მუშაობს. ძალიან სასიამოვნო იყო ბატონ ნიკოლოზთან შეხვედრა და ამ შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ მისი სახით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს საიმედო ხელმძღვანელი ჰყავს. მოგვეწონა მისი გეგმები და ის პროექტები,რის განხორციელებასაც აპირებს. ძალიან სასიამოვნო, კოლეგიალური და თბილი გარემო დაგვხვდა გამგეობაში, ვისურვებდი ჩვენი სოფლის დანარჩენ ბავშვებსაც ენახათ ადგილობრივი თვითმართველობის სტრუქტურების მუშაობა"- ამბობს მარიამ საკანელაშვილი, სოფელ სამთაწყაროს საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე.

წარჩინებული მოსწავლეები დააჯილდოვეს

8 ნოემბერს, ყვარელში ქართველი მწერლის, პუბლიცისტის, საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის დაბადების 179-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელსაც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდა. ღონისძიებაზე 2015-2016 სასწავლო წლის წარჩინებული მოსწავლეები დააჯილდოვეს, მათ შორის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის N1 საჯარო სკოლის, არბოშიკის, სამრეკლოს, ხორნაბუჯის, არხილოსკალოს, ზემო ქედის N1 და N2 საჯარო სკოლების ფრიადოსანი მოსწავლეებიც. ბავშვებმა საჩუქრად კომპიუტერები მიიღეს.

ალექსანდრე ჯეჯელავა – ძალიან მიხარია, რომ ამდენი დამცველი გამოუჩნდა კომბლეს

ძალიან მიხარია, რომ ამდენი დამცველი გამოუჩნდა კომბლეს, - ამის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ალექსანდრე ჯეჯელავამ ჟურნალისტებს განუცხადა.

განათლების მინისტრს მედიის წარმომადგენლებმა ორი დღის წინ რადიო „პალიტრის" ეთერში გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით დაუსვეს კითხვა, სადაც მინისტრმა ქართული ზღაპრებისა და მულტფილმების ახლით ჩანაცვლების აუცილებლობაზე ისაუბრა.

"ფართო დისკუსია უნდა გაიხსნას და ეს არის მთავარი სასიხარულო. მთავარი საკითხია, რომ ჩვენ ფაქტად არაფერი არ უნდა მივიღოთ. ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ, რა არის უკეთესი ჩვენი შვილებისთვის. მე ძალიან მიხარია, რომ ამდენ ხალხს ადარდებს ეს საკითხი. ისიც ძალიან მიხარია, რომ ამდენი დამცველი გამოუჩნდა კომბლეს. აუცილებლად ვისაუბრებთ ამ და ყველა საკითხზე, რაც ჩვენი შვილების განათლებას ეხება. მთელმა საზოგადოებამ თავისი აზრი უნდა გამოთქვას. ჩვენ გადასასვლელები ვართ სრულიად ახალ დონეზე - ჩვენი ერი, ცნობიერება და ზღაპრებზეც, სახელმძღვანელოებზეც, სწავლის მეთოდებზეც და ყველაფერზე გვექნება საუბარი", - განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა მიიჩნევს, რომ ქართული ზღაპრები და მულტფილმები შესაცვლელია.

ალექსანდრე ჯეჯელავამ რადიო "პალიტრის" გადაცემა "რეზიუმეში" სტუმრობისას განათლების სფეროში არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა, მათ შორის ყურადღება ქართულ მულტფილმებსა და ზღაპრებზე გაამახვილა და ხაზი გაუსვა, რომ მათი გმირები ბავშვებზე გავლენას ახდენს.

"ხშირად ვსაუბრობ, ზღაპრის გმირებით დაწყებული, მულტფილმის გმირებით დამთავრებული... რამხელა გავლენა აქვს ადამიანზე მისი ბავშვობის გმირებს. შესაბამისად, შესაცვლელი გვაქვს პრაქტიკულად ყველაფერი, მაგალითად შეამჩნევდით, არ გვაქვს ქართული მულტფილმები. ძველები გვაქვს, რომლებიც საბჭოთა მულტფილმებია", - აღნიშნა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

გადაცემის წამყვანი მერაბ მეტრეველი დაინტერესდა, რატომ ერჩის განათლების მინისტრი კომბლეს, რაზეც ალექსანდრე ჯეჯელავამ უპასუხა, რომ „კომბლესთან ორი პრეტენზია აქვს".

"კომბლე მოძალადეა და ცუდი მეცხვარეა. ორი პრეტენზია მაქვს. ორი ცხვარი ჰყავს და მეცხვარეს რატომ უნდა ჰყავდეს ორი ცხვარი თუ დაფიქრდებით, მიხვდებით, იმიტომ არის ცუდი მეცხვარე, რომ ცხვრის მოვლით არ არის დაკავებული, კომბლის მთლელია", - აღნიშნა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

ტრამპი და საქართველო

აშშ-ის პრეზიდენტობისთვის ბრძოლაში დონალდ ტრამპის გამარჯვების შემდეგ საქართველოში კიდევ უფრო აქტუალური გახდა შეკითხვა – ხომ არ შეიცვლება საქართველოს მიმართ დამოკიდებულება მისი უმთავრესი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის მხრიდან. მართალია, დონალდ ტრამპი, მაგალითად, რუსეთსა და მის პრეზიდენტთან ურთიერთობების გაღრმავების აუცილებლობაზე ლაპარაკობს, ხოლო ნატოს როლის მიმართ სკეპტიკურ განწყობებს ამჟღავნებს, მაგრამ საქართველოში მაინც იმედოვნებენ, რომ აშშ-ის ახალი პრეზიდენტი რადიკალურად არ შეცვლის ვაშინგტონის ამჟამინდელ მიდგომებს საგარეო პოლიტიკურ სარბიელზე და ამ პროცესში არ დაზარალდება საქართველოს ინტერესები.

პატივს ვცემთ ამერიკელი ხალხის არჩევანს. ამერიკა ჩვენი უმთავრესი სტრატეგიული პარტნიორია და არჩევნების შედეგები ვერანაირად ვერ იმოქმედებს ორი ქვეყნის ურთიერთობებზე - ძირითადად სწორედ ამ შინაარსის განცხადებები გაკეთდა თბილისში მას შემდეგ, რაც შეერთებული შტატების პრეზიდენტობისთვის ბრძოლის მარათონში გამარჯვებულად რესპუბლიკელთა კანდიდატი დონალდ ტრამპი დასახელდა. თბილისი დარწმუნებულია, რომ ამერიკისა და საქართველოს 25-წლიანი დიპლომატიური ურთიერთობა და სტრატეგიული პარტნიორობა მყარ საფუძველს ქმნის და პრეზიდენტის შეცვლას არ შეიძლება მოჰყვეს უარყოფითი ცვლილებები. საქართველოს მხარდამჭერებს შორის არიან როგორც დემოკრატები, ასევე რესპუბლიკელები, - განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ და ახლო წარსულის მაგალითი მოიშველია:

„ჩვენ გვაქვს აშშ-ის ორივე პარტიის - ორპარტიული - მხარდაჭერა, ძალიან მყარი მხარდაჭერა, რომელიც დაფიქსირდა სულ ახლახან, სექტემბერში, როდესაც ამერიკის კონგრესმა ერთსულოვნად მიიღო საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი რეზოლუცია. ეს კიდევ ერთხელ ამყარებს საქართველოსა და ამერიკის ურთიერთობებს და, შესაბამისად, ამერიკის ხალხის ნებისმიერი არჩევანი, რა თქმა უნდა, იქნება ამ ურთიერთობების გაგრძელების მხარდამჭერი“.

მომავლის პერსპექტივებთან მიმართებით ოპტიმისტური ხედვაა გამოკვეთილი მისალოც წერილებში, რომლებიც შეერთებული შტატების ახლად არჩეულ პრეზიდენტს, დონალდ ტრამპს, გაუგზავნეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და პრეზიდენტმა. მაგალითად, გიორგი კვირიკაშვილის მიერ ხელმოწერილ ტექსტში ვკითხულობთ, რომ „ურთიერთნდობის წლებმა საფუძველი ჩაუყარა ძლიერ, ყოვლისმომცველ და ღრმა სტრატეგიულ პარტნიორობას სახელმწიფოთა შორის“ და საქართველო კვლავაც მოწოდებულია, განაგრძოს თანამშრომლობა ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ადმინისტრაციასთან „მშვიდობის, უსაფრთხოების, განვითარებისა და თავისუფლების უზრუნველსაყოფად ჩვენს ქვეყნებში, რეგიონში და მის მიღმა”.

გიორგი მარგველაშვილი კი თავის მისალოც წერილში დონალდ ტრამპს სწერს, რომ ქართველი ხალხი უაღრესად აფასებს აშშ-ის განსაკუთრებულ როლს **„საქართველოს სახელმწიფოებრიობის, დემოკრატიული განვითარების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ასევე ევროპული და ევროატლანტიკური სწრაფვის ურყევ მხარდაჭერაში“. საქართველოს პრეზიდენტი გამოხატავს რწმენას, რომ „ერთობლივი ძალისხმევით ქართულ-ამერიკული მრავალწლიანი მეგობრობა და ძლიერი ურთიერთკავშირი კიდევ უფრო გაღრმავდება და განმტკიცდება ჩვენი ქვეყნების საკეთილდღეოდ“.**

ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი ვასილ კაჭარავა ანალიტიკოსთა იმ მცირე ჯგუფს წარმოადგენს, რომელიც დონალდ ტრამპს მთელი წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში გულშემატკივრობდა. **„ტრამპის რიტორიკა ზოგჯერ ცოტა იზოლაციონისტურად ჟღერდა ბევრისთვის, მაგრამ, მე მგონია, ეს არის მხოლოდ რიტორიკა... მას ერთი აზრი ჰქონდა, რომ ამერიკა უნდა დადგეს ფეხზე, - ისედაც ფეხზე იდგა, მაგრამ კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს, როგორც ეს თავის დროზე გააკეთა რეიგანმა, - რომ შემდეგ უკვე ძლიერის პოზიციიდან დაიცვას თავისი ქვეყნისა და თავისი მოკავშირეების ინტერესები... ასე რომ, მე მგონია, ქართულ-ამერიკულ ურთიერთობაში თუ შეიცვლება რაიმე, ყველაფერი ისევ უკეთესობისკენ და გაღრმავებისკენ შეიცვლება... ასე რომ, მე ძალიან ოპტიმისტურად ვუყურებ“.**

თუმცა ანალიტიკოსებში განსხვავებული აზრებიც არსებობს იმის გათვალისწინებით, რომ დონალდ ტრამპი წინასაარჩევნო პერიოდში არ ერიდებოდა სიმპათიების გამოხატვას ვლადიმირ პუტინისა და მისი პოლიტიკის მისამართით. ანალიტიკოსების შეშფოთებას იწვევს, ასევე, დონალდ ტრამპის სკეპტიკური მიდგომები ნატოს როლისა თუ ალიანსში ამერიკის როლის განსაზღვრასთან მიმართებით. **„თქვენ გსურთ გააჟღეროთ პუტინის ხაზი, სურვილები შეუსრულოთ მას, დაშალოთ ნატო, გააკეთოთ ყველაფერი, რაც მას სურს“** - გავიხსენოთ, რომ ამ შინაარსის სიტყვებით ადანაშაულებდა კონკურენტს ჰილარი კლინტონი წინასაარჩევნო დებატების ფარგლებში.

ამერიკისა და რუსეთის ურთიერთობების დათბობისა და ორი ქვეყნის დამეგობრების პერსპექტივები არცთუ ხანგრძლივ პერსპექტივად მიაჩნია ანალიტიკოს გიორგი რუხაძეს. „ამერიკის შეერთებულ შტატებს არაერთხელ გამოუთქვამს სურვილი და მცდელობაც არაერთხელ ჰქონია, რომ რუსეთთან ურთიერთობები დაერეგულირებინა და მეგობრული მიმართულებით წაეყვანა... მაგრამ, რეალობას თუ გადავხედავთ, რაღაც მომენტში რუსეთი არ აძლევს საშუალებას, რომ ეს ურთიერთობა განვითარდეს. ყოველთვის არსებობს მერე განხეთქილება ან აზრთა სხვადასხვაობა, ან შეუთანხმებლობა მსოფლიოს რომელიმე წერტილში მიმდინარე ოპერაციაზე თუ სხვა სადავო საკითხზე... რაღაცა ხნის განმავლობაში ურთიერთობები მიდის ხოლმე დათბობისკენ და შემდეგ უკვე, იგივე პროპორციით, - გაცივებისკენ... ამის მაგალითია ‘გადატვირთვის პოლიტიკაც’“.

გიორგი რუხაძეს სჯერა, რომ, ისევე როგორც რუსეთთან ურთიერთობების ჭრილში, ნატოს როლთან მიმართებით თუ შავი ზღვის რეგიონთან დაკავშირებული გეგმების ხორცშესხმის საქმეში, შეერთებული შტატები, ცხადია, მხოლოდ დონალდ ტრამპის გადაწყვეტილებების მიხედვით არ იმოქმედებს და, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, პროცესში დიდ როლს შეასრულებს ქვეყნის ძლიერი პოლიტიკური სისტემა და დამაბალანსებელი ფაქტორები და, შესაბამისად, პრეზიდენტს არ მიეცემა „რადიკალური ცვლილების საშუალება“.

რაც შეეხება უშუალოდ საქართველოს ინტერესებს, იმის გამო, რომ დონალდ ტრამპის პრეზიდენტობისას, ზოგადად, უფრო პასიურ საგარეო პოლიტიკას მოელის, გიორგი რუხაძე, სხვა ბევრი ანალიტიკოსის მსგავსად, ფიქრობს, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობათა შედეგიანად რეალიზების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ხელისუფლების ადეკვატურ აქტიურობას. ამ ჭრილში სახელდება სამი აუცილებელი მიმართულება: **1. თავდაცვა-სუნარიანობის ამაღლება და სამხედრო თანამშრომლობა 2. მოლაპარაკებების დაწყება და დღის წესრიგის გაწერა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ და 3. აშშ-ის მხარდაჭერის გააქტიურება ნატოში ინტეგრაციის გზაზე.**

„ხანგოშვილის გარდა, სავარაუდოდ, „ხალიფატის“ რიგებში მებრძოლი კიდევ რამდენიმე საქართველოს მოქალაქე დაიღუპა“

რამდენიმე დღის წინ, ერაყში საქართველოს მოქალაქე, პანკისის ხეობის მკვიდრი მუჰმად ხანგოშვილი დაიღუპა.

22 წლის ხანგოშვილი პანკისის ხეობის სოფელ დუისის მკვიდრია. ის “ისლამური სახელმწიფოს” წევრი და დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერის, დაღუპულ თარხან ბათირაშვილის პირადი მცველი იყო.

როგორც ცნობილია, 2016 წლის 17 ოქტომბერს ერაყის შეიარაღებულმა ძალებმა ქურთებისა და საერთაშორისო კოალიციის მხარდაჭერით ქალაქ მოსულის გათავისუფლების სახმელეთო ოპერაცია დაიწყეს. კვირისპალიტრა.გე ცოტა ხნის წინ წერდა, რომ ქალაქ მოსულის დასაცავად “ხალიფატის” რიგებში მებრძოლი საქართველოს მოქალაქეების ყოფნა არ დასტურდებოდა, თუმცა დაღუპული მუჰმად ხანგოშვილი მოსულში ავიაიერიშს ემსხვერპლა.

ნინო ბურჭულაძე, გაზეთ “კვირის პალიტრის” ჟურნალისტი:

- რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, დაღუპულს “ხალიფატში” მუჰმად გიშკაევის გვარით იცნობდნენ. სირიაში საომრად ე.წ. პირველი ტალღის დროს, 2013 წელს წავიდა. მოგეხსენებათ, პანკისიდან სირიაში ახალგაზრდების მასშტაბური გადინება სწორედ ამ პერიოდში დაიწყო. “ხალიფატის” გამოცხადებამდე ხანგოშვილი ასადის რეჟიმის წინააღმდეგ თარხან ბათირაშვილის დაჯგუფებაში იბრძოდა, მისი პირადი დაცვის წევრი იყო. სხვათაშორის მინდა გითხრათ, რომ ცოტა ხნის წინ, დაღუპული ხალიფატის ე.წ. ყოფილი იუსტიციის მინისტრის, ადამ გუმაშვილის შვილი - სულთან გუმაშვილი და მუჰმად გიშკაევი აბუ ომარ ალ შიშანის უახლოეს გარემოცვას წარმოადგენდნენ და “ულალი გენერალი” მათ გვერდიდან არ იშორებდა.



ჩემი ინფორმაციით, მუჰმად ხანგოშვილი დაიღუპა მოსულში, ავიაიერიშის დროს. გარდა ამისა, ასევე ვიცით, რომ დაღუპულია საქართველოს კიდევ რამდენიმე მოქალაქე, რომელთა ამოცნობაც ამ ეტაპზე სამწუხაროდ ცხედრების დაზიანების გამო ვერ ხერხდება. თუმცა ალბათ მოგვიანებით მათი ვინაობაც გახდება ცნობილი. მომხდარი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი ვარაუდი მართლდება და თანამოქალაქეების გარკვეული ნაწილი, რომელიც “ისლამური სახელმწიფოს” რიგებში იბრძოდნენ, ამჟამად მოსულიში არიან.

- ბოლო დროს, ზოგიერთი ექსპერტი აღნიშნავს, რომ პანკისის ხეობაში ხალიფატის იდეების პროპაგანდა მომძლავრდა, ეს რამდენად რეალურია?

- ნამდვილად არ ვიცი საიდან ფლობენ ექსპერტები ამგვარ ინფორმაციას. ეს იმდენად მნიშვნელოვანი თემაა, რომ ყველა ინფორმაცია გასაჯაროვებამდე სავარაუდოდ კარგად უნდა გადამოწმდეს.. ჩემის მხრივ მინდა დარწმუნებით გითხრათ, “ხალიფატის” იდეების პროპაგანდას პანკისში ამ ეტაპზე ადგილი არ აქვს, სირიაში მიმდინარე პროცესების ფონზე “ხალიფატმა” დიდი ხანია დაკარგა მხარდამჭერები ხეობაში, ამჟამად სულ ათიოდე მიმდევარი ჰყავს, მეტიც - ზაფხულში თარხან ბათირაშვილის სიკვდილის შემდეგ “ისლამური სახელმწიფოს” გავლენა ფაქტობრივად ნულამდე დავიდა, ამას თან ერთვის ე.წ. ზომიერი სალაფიზმის (ვაჰაბიზმის) მომძლავრება და სახელმწიფოს მიერ გატარებული მთელი რიგი ღონისძიებები - მათ შორის ადგილობრივი მოსახლეობის წახალისება ბიზნესის მხარდაჭერით, საზოგადოებაში ახალგაზრდების მეტი ინტეგრაციისთვის დაფინანსებული მრავალი პროექტი, რომლებიც დღესაც ხორციელდება ხეობაში და ა.შ. თუ გადავხედავთ 2013- 2016 წლებში ახალგაზრდების “ჯიჰადში” გადინების დინამიკას (2016 წელს სირიაში წასვლის ფაქტი საერთოდ არ დაფიქსირებულა), ჩანს, რომ სპეცსამსახურების საქმიანობა ამ მიმართულებით ეფექტურია, რა თქმა უნდა, ჯერ ჯერობით. გარდა ამისა, თავად ახალგაზრდების დამოკიდებულებაც შეიცვალა “ ხალიფატური” ჯიჰადის მიმართ და დღეს აღარავის სურს უცხო მიწაზე სხვის ომში საზარბაზნე ხორცად იქცეს...

- ამ ეტაპზე საქართველოს რამდენი მოქალაქე იბრძვის “ისლამური სახელმწიფოს” რიგებში?

- დაუზუსტებელი ინფორმაციით, დღესდღეობით სირიის ფრონტებზე საქართველოს 21-23 მოქალაქე იბრძვის, მათი უმრავლესობა „ხალიფატის“ რიგებშია. სამწუხაროდ არ გვაქვს მეტი ინფორმაცია, საქართველოს რამდენი მოქალაქეა მოსულში და რამდენი „ხალიფატის“ „დედაქალაქ“ რაყაში, რომელიც შიგადაშიგ უკვე იბომბება და მოსულის აღების შედეგ მისი გათავისუფლების ჯერიც დგება.

ზაურ მარტყოფლიშვილის ოჯახი თანაგრძნობას უცხადებს მზია, მარინა ქადაგიძეებს დედის, თამთა ნარჩევანიძეს, ცისანა და ეთერ ქადაგიშვილებს ბებიის

ეთერ ქადაგიძის

გარდაცვალების გამო.

შვილები: მზია, მარინა ქადაგიძეები, შვილიშვილები: თამთა, ეთერი, ცისანა, შვილთაშვილი მარიამი, დები: დარეჯანი, ნინო, ელიზა, დისშვილები, ძმისშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

ეთერ ქადაგიძე-აფციაურის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 8.11.2016 წ. ქალაქ დედოფლისწყაროში.

როგორ მოვემზადოთ ზამთრის ვირუსების თავიდან ასაცილებლად?

შემოდგომიდან ვირუსების გავრცელებისა და გაცივების შემთხვევები იმატებს, რაც კლიმატური ცვლილებებითა და გადამდები დაავადებების გააქტიურებითაა გამოწვეული.

გადამდებ დაავადებებს მიეკუთვნება დაავადებათა ჯგუფი, რომელიც პათოგენური მიკროორგანიზმებითაა (ბაქტერიები, ვირუსები, პარაზიტები, სოკოები) გამოწვეული და ადამიანთა შორის პირდაპირი ან არაპირდაპირი გავრცელების უნარი აქვს.

ამ პერიოდში, მოსახლეობა გირიპის ვირუსს უჩივის, რომლის გავრცელების ინტენსივობაც, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინდორმაციით, ეპიდემიოლოგიურ ზღურბლს არ აჭარბებს და 100 000 მოსახლეზე 332,6-ს შადგენს, მათგან ლეტალური შემთხვევა 6-ია.

გარდა ამისა, ცენტრის მონაცემებით, ბოლო 2015-16 წლის გრიპის სეზონზე საქართველოში გრიპის 160 ვირუსია გამოვლენილი, მათ შორის 153 — A/h1p და 7- A/H3. ზედამხედველობის მაჩვენებლებზე დაყრდნობით, გრიპის ვირუსით ავადობის მაჩვენებელი წინასასკოლო და სასკოლო ასაკში მატულობს, რაც ამავე ასაკში ჰოსპიტალიზაციის მომატებულ რიცხვს იწვევს.

ვირუსული ინფექციების გავრცელებისა და მათი პრევენციის შესახებ დაავადებათა ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსი ხათუნა ზახაშვილი საუბრობს. სპეციალისტის თქმით, რესპირაციული ინფექციების გამომწვევი ვირუსები ნელ-ნელა მოიმატებს, თუმცა ეს ახლანდელი სეზონისთვის დამახასიათებელია.

„ამჟამად რინოვირუსი ცირკულირებს, ზოგადად ამ სეზონზე 200-მდე ვირუსი აქტიურდება, ასევე მოიმატებს გრიპის ვირუსის ცირკულაცია, რომელიც ყველაზე მძიმედ მიმდინარე დაავადებაა და მისი გავრცელებაც, უფრო დიდი იქნება, ვიდრე ზაფხულში," - აღნიშნა მან.

რინოვირუსი სასუნთქი სისტემის დაავადებაა, რომელიც შემოდგომა-ზამთარში განსაკუთრებით აქტიურდება.

მისი სიმპტომებია სურდო, ჩახლეჩილი ყელი, ცემინება, თავის ტკივილი, საერთო სისუსტე, სიცხე.

ხათუნა ზახაშვილის თქმით, აღნიშნული ვირუსების პრევენცია შესაძლებელია."

ყველაზე მძიმე დაავადებების პრევენციისთვის ახლა ყველაზე კარგი პერიოდია, ამისთვის საჭიროა იმუნიზაციის ჩატარება და ზამთრისთვის მომზადება რათა გრიპის ვირუსი არ შეგხვდეთ".

„რეკომენდებულია, რომ ვირუსული დაავადების სიმპტომების შენიშვნისას სახლში დარჩეთ, თავი აარიდოთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ყოფნას, ასევე აუცილებელია, იყოთ იზოლირებული, ხშირად გაანიავოთ გარემო და ბევრჯერ დაიბანოთ ხელები. აუცილებლად უნდა მიმართოთ ექიმს, თუ შედარებითი გაუმჯობესების შემდეგ მაღალი სიცხე აღგენიშნებათ," - განმარტა სპეციალისტმა.

რაც შეეხება რეკომენდაციებს, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი მოგვიწოდებს, გრიპის სიმპტომების, როგორებიცაა სუნთქვის გართულება, ქოშინი, ცხვირ-ტუჩის მიდამოს ციანოზი, მოვარდისფრო სისხლიანი ნახველი, ლეთარგია, ჩვილ ბავშვებში ძუძუს წოვის შეუძლებლობა, გაუწყლოვება, ყიფლიბანდის დაძაბულობა, სასწრაფოდ მივმართოთ ექიმს, რადგან, შესაძლოა, სასწრაფო ჰოსპიტალიზაცია და სპეციფიკური მკურნალობა გვესაჭიროებოდეს.

ულოცავენ!

ლიზი ჭოტაშვილს!

ჩვენო პატარა ანგელოზო, გილოცავთ დაბადების დღეს, შენ უკვე 5 წლის გახდი, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას. მინდა, შენი ყოველი დღე, მზის სხივით იყოს გაბრწყინებული. გევლოს ლამაზი და იავარდებით მოფენილ გზაზე.

გვიყვარხარ და ჩვენი დიდი იმედი ხარ.

მშობლები:
ლევან ჭოტაშვილი;
ლალიკო ბენაშვილი;

თამარ მოძღვრიშვილს! ქალბატონო თამარ!

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ და ბედნიერ სიცოცხლეს შენს დიდ ოჯახთან ერთად. წარმატებები თქვენს საქმიანობას, თქვენ ერთი პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი რგოლი ხართ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკასა და სიძლიერეში, სწორედ ამიტომ ხართ „საუკუნის ლეგენდის" ტიტულის მფლობელი.

პატივისცემით,
თქვენი კოლეგები – ნონა გაფრინდაშვილი, ნანი ბრეგვაძე, მედეა ამირანაშვილი, მანანა ახმეტელი, ნაირა გორაშვილი.

თამარ მოძღვრიშვილს!

მთელი ჩვენი ორგანიზაციის სახელით გილოცავთ დაბადების დღეს. თქვენ ჩვენი გამგეობის ერთ-ერთი აქტიური წევრი ხართ და ბევრჯერ დაგვდგომიხართ მხარში სხვადასხვა ღონისძიებების ღირსეულად ჩატარების საქმეში, რისთვისაც გიხდით მადლობას. გვინდა, გისურვოთ სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ბედნიერება შენს ოჯახთან ერთად და წარმატებები შრომით საქმიანობაში.

პატივისცემით,
ი. ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის დედოფლისწყაროს გამგეობის სახელით: ვანო ნატროშვილი, ნანა ჭიჭინაძე, ხათუნა აბლაძე, ნაირა გორაშვილი, ინგა შიოლაშვილი, მარინა ღვინიაშვილი, ლია მაისურაძე.

სურნელი, რომელიც აახალგაზრდავებს

ჩიკაგოს გემოსა და სურნელის შეწმსწავლელი ინსტიტუტის (Sense of Smell Institute, Chicago) მკვლევარებმა მანდილოსნებში ჩაატარეს გამოკითხვა - როგორი სურნელია მათთვის ყველაზე სასურველი? - რის შედეგადაც დაადგინეს, რომ მანდილოსნები ისეთ სურნელზე ოცნებობენ, რომელიც მათ უფრო ახალგაზრდას და სასურველს წარმოაჩენს მამაკაცების თვალში.

ამ გამოკითხვის შემდეგ მკვლევარებს ახალი თავსატეხი გაუჩნდათ - უნდა ეპოვათ ასეთი სურნელი, თუ ის, რა თქმა უნდა, არსებობდა.

ექსპერიმენტისათვის მათ შეარჩიეს როგორც ხილის, ასევე ყვავილოვანი და ბალახოვანი სურნელები: ბანანი, პიტნა, გრეიფრუტი, ვანილინი, ალოე... და რიგრიგობით აპკურეს თითოეული სურნელი ექსპერიმენტში მონაწილე შუა ხნის ქალბატონებს. მამაკაცებს კი მოსთხოვეს მათი ასაკი დაესახელებინათ.

ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ არცერთმა შემოთავაზებულმა სურნელმა ისე არ იმოქმედა მამაკაცების წარმოსახვაზე, როგორც გრეიფრუტმა. ამ ეგზოტიკური ხილის სურმელმა საშუალება მისცა მის მფლობელს, გამოიყურებოდეს მამაკაცების თვალში უფრო ახალგაზრდულად და თანაც, მთელი 6 წლით.

სხვა სურნელებმა ქალბატონების „გაახალგაზრდავება" ვერ შეძლეს.

მადლიერება

ძვირფასო მკითხველო, სულ რამდენიმე სიტყვით მინდა, გავიხსენო ერთი დიდებული, დარბაისელი კაცი, ჩვენი კოლეგა, გაზეთ „შირაქის" და „კოლმეურნეს" ყოფილი რედაქტორი, გაზეთ „კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი სიღნაღში, ლაგოდეხსა და წითელწყაროში ვლადიმერ მჭედლიშვილი. მაღალპროფესიონალი ჟურნალისტი, ერუდირებული, განათლებული, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობის ადამიანი, რომელიც ჩვენს გვერდზე ცხოვრობდა და იღვწოდა ათეული წლების განმავლობაში. იგი, რამდენიმე წლის წინ, ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. დატოვა მრავალი წლის ნაშრომ-ნაღვაწარი: წერილები, ნარკვევები, რეპორტაჟები, ჩანახატები... და ორი შესანიშნავი შვილი - ვალერი და ქეთევანი თავიანთი ოჯახებით.

ორიოდე დღის წინ რედაქციაში ვალერი მჭედლიშვილი გვეწვია და ბატონი ვლადიმერის მიერ რუდუნებით შეგროვილი და წიგნებად აკინძული გაზეთ „შირაქის" და „კოლმეურნეს" კომპლექტები გადმოგვცა. ეს ის წლებია, როდესაც ვლადიმერ მჭედლიშვილი ამ გაზეთებს ედგა სათავეში. ამით გაზეთ „შირაქის" არქივი შეივსო იმ პერიოდის კომპლექტებით, როდესაც წითელწყარო სიღნაღის რაიონთან იყო მიერთებული (1961-65 წწ), გაზეთი „შირაქი" აღარ გამოდიოდა და ჩვენი რაიონის ცხოვრებასაც გაზეთი „კოლმეურნე" ასახავდა. ეს დიდი შენაძენია ჩვენი რედაქციისათვის. აქვე გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მჭედლიშვილებმა საკმაოდ ბევრი წიგნი გადასცეს ზემო მაჩხაანის სკოლის ბიბლიოთეკას, რომლის ფონდიც განადგურდა სკოლის ხანძრის დროს. ამ კეთილშობილური ქმედებისათვის გვინდა, მადლობა ვუთხრათ ვალერი მჭედლიშვილს.

გაზეთ „შირაქის" რედაქციის სახელით ნაირა გორაშვილი

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 14.11		სამშაბათი 15.11		ოთხშაბათი 16.11		ხუთშაბათი 17.11		პარასკევი 18.11		შაბათი 19.11		კვირა 20.11	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	12 °	9 °	8 °	5 °	4 °	-1 °	0 °	-1 °	2 °	-1 °	1 °	0 °	-1 °	-2 °

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.